შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრ სასწავლებელი ანრის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი

_____________________ /

22.12.2025 წ.

განხილული და დამტკიცებულია
2025 წლის 22 12

პროფესიულ სტუდენტთა
თვითმმართველობის საერთო კრებაზე,

ოქმი N 4

# პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

# Regulation for the professional student self-government

დამტკიცების თარიღი: 22.12.2025
ვერსია N2

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
# პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის დებულება

შინაარსი


**1.** ზოგადი სფერი ....................3
**2.** ტერმინები, განმარტებები .................... 4
**3.** თვითმართველობის მიზნები და უფლებამოსილებები .................... 5
**4.** თვითმართველობის უფლებამოსილება.................... 6
**5.** თვითმართველობის წევრობა.................... 7
**6.** თვითმართველობის წევრობა და მისი შეწყვეყა.................... 7
**7.** თვითმართველობის წევრობის ვადაზე ადრე შეწყვეტა....................8
**8.** თვითმართველობის პრეზიდენტი ....................8
**9.** თვითმართველობის წევრის უფლებამოსილება ....................9
**9.2** თვითმართველობის წევრის ვალდებულებები ....................10
**10.** თვითმართველობის მართვის ორგანოები ....................10
**11.** თვითმართველობის წევრთა საერთო კრება ....................10
**11.1** თვითმართველობის წევრთა კრების უფლებამოსილებები....................11
**11.2** თვითმართველობის წევრთა კრების წარმოება....................11
**12.** თვითმართველობის ვიცეპრეზიდენტი .................... 11
12.1 თვითმართველობის ვიცეპრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა....................11
**13.** გარდამავალი დასკვნითი დებულება ....................12
**14.** გაცნობის ფურცელი....................13

# ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება.

## 1. ზოგადი დებულება

1. ბუსსს ანრის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა წარმოადგენს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. პროფესიული სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებებით, ნორმატიული აქტებით, სასწავლებლის წესდებით და არსებული დებულებით.
3. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა არის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
4. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის სამართლებლივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“.
5. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა აირჩევა არა უმეტეს 17 თვის ვადით (სასწავლო პროგრამის დაწყებიდან მის დასრულებამდე) და შედგება10 წევრისაგან.
6. პროფესიული სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნებს ყავს საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება 8 წევრისგან.
7. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნების კომისიის შემადგენლობაში

# ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება.

## 1. ზოგადი დებულება

1. ბუსსს ანრის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა წარმოადგენს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. პროფესიული სტუდენტური თვითმმართველობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებებით, ნორმატიული აქტებით, სასწავლებლის წესდებით და არსებული დებულებით.
3. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა არის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
4. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის სამართლებლივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“.
5. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა აირჩევა არა უმეტეს 17 თვის ვადით (სასწავლო პროგრამის დაწყებიდან მის დასრულებამდე) და შედგება10 წევრისაგან.
6. პროფესიული სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნებს ყავს საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება 8 წევრისგან.
7. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნების კომისიის შემადგენლობაში

შედის: კომისიის თავჯდომარა, კომისიის მდივანი და 6 კომისიის წევრები

8. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობა შედგება, პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის და 8 დელეგატებისგან.
9. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის პრეზიდენტად და ვიცეპრეზიდენტად ირჩევა ის კანდიდატები ვისაც აქვთ მიღებული ხმათა უმრავლესობა.
10. არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში ყველა მათგანი ირჩევა პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის დელეგატებად.
11. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ბუსსს ანრის ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია'' და ,,სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია'' პროგრამაზე ჩარიცხულ ნებისმიერ მოქმედ პროფესიულ სტუდენტს, რომელთა აქტიური სტატუსი უგრძელდება შემდგომი 18 თვის განმავლობასი.
12. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნებში გამოიყენება შემდეგი დოკუმენტები: საარჩევნო კომისია, არჩევნების ოქმი, კანდიდატთა რეგისტრაციის ფორმა მფ–02-№155-08-05.12.22; ამომრჩეველთა საერთო სია მფ–02-№171-08-05.12.22; საარჩევნო ოქმი მფ–02-№156-08-05.12.22
13. თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან 1 თვის ვადაში.
14. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართელობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ის უფლებამოსილების განხორციელებისას არის დამოუკიდებული და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა სასწავლებლის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია, გარადა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
15. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობას სასწავლებლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით აქვს საკუთარი ბეჭედი, და საჭირო ინვენტარი.
16. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ადგილსამყოფელია: საქართველო ქ.ბათუმი, დავით მამულაძის ქ.№ 5. ბუსსს ანრის სასწავლო კორპუსი, აუდიტორია N507.
17. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის დაფინანსების წყაროებია სასწავლებლის ბიუჯეტი.

**2. დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტება:**

1. სასწავლებელი - ბათუმის უმაღლესი საზღავო საინჟინრო საწავლებელი ანრი.
2. შპს ბუსსს ანრი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღავო საინჟინრო საწავლებელი ანრი.
3. პროფესიული სტუდენტი - პირი რომელიც პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის წესდებით

განსაზღვრული წესით ჩაირიცხა პროფესიული პროგრამის გასავლელად.

4. პროფესიულ სტუდენტტა თვითმმართელობა - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ს წარმომადგენლობითი ორგანო.
5. სასწავლებლის ადმინისტრაცია - ბათუმის უმაღლესი საზღვაი საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ს ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს სასწავლებლის მართვასა და სასწავლო პროცესს.
6. დებულება - პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ძირითადი სამართლებლივი აქტი, რომელთაც განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი.
7. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის საარჩევნო კომისიის თავჯდომარე - პროფესიულს სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნების უმაღლესი მაკონტროლირებელი პირი.
8. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის საარჩევნო კომისიის მდივანი - პროფესიულს სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნების მეორე საფეხურის უმაღლესი მაკონტროლებელი პირი.
9. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის საარჩევნო კომისიის წევრები - პროფესიულს სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნების მაკონტროლებელი პირები.
10. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო კრება - მმართველობის ორგანო, რომელიც შედგება სასწავლებლის პროფესიულ სტუდენტთა არჩეული დელეგატისგან.
11. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი - პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი.
12. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი - პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი.
13. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დელეგატები - პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრები.
14. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართელობის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

## 3. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები:

1. თავისი უფლება მოსილების ფარგლებში დაიცვას და წარმოადგინოს პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, როგორც სასწავლებელში ისე მის ფარგლებს გარეთ.
2. თავისი უფლება მოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში.

3. დაეხმაროს პროფესიულ სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში.
4. დახმარება გაუწიოს პროფესიულ სტუდენტებს სწავლის პერიოდში პროფესიული უნარ ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.
5. ხელი შეუწყოს სასწავლებლის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობა.
6. ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტებში სამართლებლივ თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.
7. შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მრავალფეროვანი გახადოს სტუდენტური ცხოვრება.
8. სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.
9. ხელოვნების სხვადასხვა დარგში შესაბამისი სტუდენტური წრეებისა და ჯგუფების შექმნა.
10. სასწავლებლის პროფესიულ სტუდენტთა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.
11. კულტურული ღონისძიებების განხორციელება.
12. სხვადასხვა სახის კონკურსების ორგანიზება და გამართვა.
13. სასწავლებელში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.
14. სპორტული ღონისძიებებისა და სხვადასხვა სახის შეჯიბრებების ორგანიზება.
15. სპორტის სხვადასხვა სახეობაში შესაბამისი გუნდების მომზადება.
16. სხვადასხვა სახის სპორტული სასწავლო წრეების შექმნა.
17. ჩართულია პროფესიული სტუდენტთა აქტივობების დაგეგმვას და განხორციელებაში.

## 4. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებამოსილება:

1. იცავს და წარმოადგენს სასწავლებლის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.
2. უზრუნველყოფს სასწავლებლის პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას.
3. სასწავლებლის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს.
4. შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლებლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
5. გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასვენების შრომით მოღვაწეობასა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს საგანმანათლებლო-

სამეცნიერო კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს.

6. უზრუნველყოფს სასწავლებლის პროფესიული სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ინტერესების განხორციელების პროცესში.
7. თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან.
8. აქტიურად მონაწილეობს სასწავლებლის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობას.
9. მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობაში, შეძლებისსამებრ.

## 5. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრობა:

1. პროფესიული სტუდენტური თვითმმართველობის წევრია ის სტუდენტი, რომელიც საარჩევნო დებულებებით დადგენილი წესით არჩეული იქნება პროფესიულ სტუდენტურ თვითმმართველობაში.
2. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართელობის ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი, ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სტუდენტი, რომელიც ნებაყოფლობით გაერთიანდება სტუდენტურ თვითმმართველობაში.
3. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართელობის სისტემაში არჩეული შეიძლება იყოს მხოლოდ ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სტუდენტები.
4. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 17 თვით.

## 6. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის დღიდან და წყდება:

1. პირადი განცხადების საფუძველზე.
2. სასწავლებელში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში.
3. თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებით თუ იგი აღარ არის სტუდენტი და 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ აღუდგენია აღნიშნული სტატუსი.
4. ქმედუუნაროდ გამოცხადების, უგზოუკვლოდ დაკარგვის ან გარდაცვალების შემთხვევაში.
5. არსებული დებულების ეთიკის კოდექსის უხეშად დარღვევის შემთხვევაში.

## 7. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში:

პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართელობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა უმრავლესობა, მაგრამ პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრად არჩევის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ არჩევნებში. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი შეირჩევა საერთო კრების მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართელობის წევრი უფლებამოსილებას ანხორციელებს გამოკლებული წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

## 8. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი:

1. წარმართავს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობას.
2. წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა თითმმართველობის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.
3. ანაწილებს მოვალეობებს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრებს შორის.
4. თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ სასწავლებლის შინაგანაწესის შესრულებაზე კონტროლს.
5. ხელს აწერს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობაში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბეჭდით ადასტურებს სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების მიერ შემუშავებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს.
6. წარადგენს ანგარიშს ხარისხის სამსახურში პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს რექტორისა და ხარისხის სამსახურის დავალებით.
7. წარუდგენს დირექტორს წინადადებებს თვითმმართველობის წევრების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.
8. წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობას ბუსსს ანრის

ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.
9. კოორდინაციას უწევს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობისორგანოთა მუშაობას.
10. იწვევს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრთა საერთო კრებას.
11. საერთო კრებას, დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცეპრეზიდენტს.
12. წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან, უწყებებთან, მესამე პირთან ურთიერთობის დროს.

## 9. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება

9.1 პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

1. მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში.
2. იქონიოს სათათბირო ხმის უფლება.
3. წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებით მიმართოს პროფესიულთა თვითმმართველობის მართვის ორგანოს.
4. აირჩიოს და იყოს არჩეული პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოებში.
5. მიიღოს მონაწილეობა პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი.
6. მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ.
7. მიიღოს მხარდაჭერა პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავდ.
8. განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და დებულებებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.
9. განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესისა და წინამდებარე დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
10. შეასრულოს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვლეობები.
11. დაიცვას სასწავლებლის სახელი, ავტორიტეტი და ქონება.
12. დაიცვას სასწავლებლის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
13. დაეხმაროს სტუდენტებს სასწავლო საქმიანობისა და საწარმოო პრაქტიკების

ორგანიზაციაში.

9.2 პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრის ვალდებულებები :

1. შეასრულოს პროფესიულთა თვითმმართველობის დებულებებით მასზე დაკისრებული მოვალეობები.
2. დაიცვას პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება
3. ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტებისა და სასწავლებლის მართვის ორგანოების ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
4. დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა, დებულება და ეთიკის კოდექსი.

**10 პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:**

1. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო კრება.
2. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი.
3. სარევიზიო კომისია. (ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის მუშაობის გამორკვევა მოქმედების სისწორისა და კანონიერების შემოწმების მიზნით.)

**11. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება**

1. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება წარადგენს სტუდენტები მმართველების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომლიც შედგება პროფესიულ სტუდენტთა თვითმართელობაში არჩეული ყველა წევრისაგან.
2. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო წევრთა კრება იკრიბება საჭიროები სამებრ.
3. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო წევრთა პირველი კრება იკრიბება პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის არჩევნების შემდეგ, 2 კვირის ვადაში.
4. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების ჩატარების შესახებ საერთო კრების წევრებს ეცნობათ კრების ჩატარებამდე ერთიკვირით ადრე.
5. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია ჩაატაროს შეხვედრა თუ მას ესწრება სიით შემადგენლობის უმრავლესობა.

11.1. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო კრების უფლებამოსილება

1. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
2. განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელი პროგრამები და პროექტები.
3. საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი კომისიები, რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვის დროს.
4. უშუამდგომლოს პროფესიულ სტუდენტებს სასწავლებლის ადმინისტრაციასთან.

11.2 . პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის კრების წარმართვა

1. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთო კრებას უძღვება თვითმმართველობის პრეზიდენტი.
2. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში თვითმმართველობის საერთო კრებას უძღვება ვიცეპრეზიდენტი.

## 12. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ვიცეპრეზიდენტი

1. ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება მოვალეობების განხორციელებას.
2. კოორდინაციას უწევს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის მუშაობას.
3. უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტის თანხმობისშემთხვევაში საკუთარი უფლება მოსილების განსახორციელებლებას.
4. ვიცეპრეზიდენტებს უფლება აქვთ ხელი მოაწერონ და გააფორმონ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციები დოკუმენტები.

12.1 პროფესიულ სტუდენტთა ვიცეპრეზიდენტის უფლება მოსილება წყდება

1. პირადი განაცხადით.
2. სასწავლებელში ადმინისტრაციული თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში.
3. ქმედუუნაროდ გამოცხადების ან გარდაცვალების შემთხვევაში.
4. ამ დებულებების უხეშად დარღვევის შემთხვევაში თანამდებობიდან ანთავისუფლებს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის საერთოკრება.

## 13. გარდამავალი დასკვნითი დებულებები

1. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნები, ტარდება ახალი ნაკადის მიღებიდან 1 თვის ვადაში.
2. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტად ინიშნება ის პროფესიული სტუდენტები, რომლებსაც ექნებათ ხმათა უმრავლესობა.
3. პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტის გაცნობა ხდება თვითმმართველობის საერთო კრებაზე, თვითმართველობის წევრების მიერ.
4. არჩევნების საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად იქმნება საარჩევნო კომისია.
5. საარჩევნო კომისიის წევრი უნდა იყოს ბუსსს ანრის პროფესიულ სტუდენტი.
6. დებულება ამოქმედდეს და ძალაში შევიდეს პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართელობის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე.

### გაცნობის ფურცელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | გაცნობის თარიღი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კაროლინა თურმანიძე | პრეზიდენტი | 22.12.2025 | [signature] |
| 2 | [illegible] | ვიცე პრეზიდენტი | 22.12.2025 | [signature] |
| 3 | გიორგი ჯუმბაძე | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |
| 4 | [illegible] | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |
| 5 | [illegible] | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |
| 6 | [illegible] | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |
| 7 | [illegible] | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |
| 8 | [illegible] | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |
| 9 | [illegible] | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |
| 10 | [illegible] | დელეგატი | 22.12.2025 | [signature] |